<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

1. ეს კანონი აწესრიგებს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების და ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის საკითხებს; აგრეთვე, ადგენს შესაბამის პირთა ნახევარ განაკვეთზე, ღამის საათებში, დასვენების და უქმე დღეებში მუშაობისას, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისას შრომის ანაზღაურების პირობებსდა განსაზღვრავს დროებით დაკისრებული ფუნქციების შესრულებისათვის ანაზღაურების წესსა და პირობებს.

2. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება:

ა) სახელმწიფო მოსამსახურეზე;

ბ) სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირზე;

გ) პოლიტიკურ თანამდებობის პირზე;

დ) პროფესიულ საჯარო მოხელეზე (შემდგომში - მოხელე);

ე) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე;

ვ) შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირების გარდა, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ასევე ამ კანონით განსაზღვრულ საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა სხვა პირზე.

4. თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება და შრომის ანაზღაურება განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სპეციალური ან სამხედრო წოდების მქონე მოსამსახურეებზე;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებზე;

გ) საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეებზე;

დ) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამხედრო და სპეციალური წოდების მოსამსახურეებზე;

ე) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო და სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისა და სახმელეთო ჯარების მოსამსახურეებზე;

ვ) საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სამხედრო და სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებზე და იმ მოსამსახურეებზე, რომელთაც საქმიანობა ძირითადად უწევთ პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე;

ზ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემის სამხედრო და სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურეებზე;

თ) ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების მოსამსახურეებზე;

ი) საქართველოს ეროვნული ბანკის მოსამსახურეებზე;

კ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებზე;

ლ) საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებზე;

მ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებზე;

ნ) პროკურორებსა და პროკურატურის გამომძიებლებზე;

ო) საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე – საქართველოს ნოტარიუსთა პალატაზე, გარდა მისი გამგეობის აპარატის მოსამსახურისა;

პ) საზოგადოებრივი მაუწყებლის მოსამსახურეებზე;

ჟ) წევრობაზე დაფუძნებულ (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციისა), კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით, სასპროტო და რელიგიურ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით, სასპორტო და რელიგიურ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებში დასაქმებულებზე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული:

ა) პირების მიერ ამ კანონის ან/და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე მიღებულ ყველა სახის დანამატის, ფულადი ჯილდოს და სხვა სახის დამატებითი

ანაზღაურების ოდენობაზე ვრცელდება ამ კანონის 26-ე, 27-ე და 28-ე მუხლებით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობები, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული საკლასო დანამატისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ შეთხვევებისა, როდესაც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ დამატებითი ანაზღაურების მისაღებად დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმები (მათ შორის ნამსახურები წლები) და დანამატის ოდენობა განსაზღვრულია შესაბამისი ნორმატიული აქტით;

ბ) პირების მიმართ ფულადი ჯილდოსათვის ამ კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში, ფულადი ჯილდოს ნაცვლად შესაძლებელია გაიცეს დანამატი;

გ) პირების მიმართ ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაცემულმა დანამატმა შესაძლებელია გადააჭარბოს ამ კანონის 26-ე მუხლით გათვალისწინებულ ზღვარს, იმ პირობით, თუ პირის მიერ მიღებული დანამატი და ფულადი ჯილდო არ გადააჭარბებს ჯამურად ამ კანონის 26-ე და 28-ე მუხლებით გათვალისწინებულ ზღვრულ ოდენობას.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირებზე საკლასო დანამატის გაცემა ხორციელდება ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ცხრილის შესაბამისად.

7. ამ კანონით განაზღვრული რეგულაციები არ ვრცელდება საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ იმ პირებზე, რომელთა შრომის ანაზღაურების გაანგარიშება დაკავშირებულია შესრულებული სამუშაოს მოცულობასთან/ღირებულებასთან (ნამუშევარი საათების, მომსახურების საფასურის წილის ან/და სხვა მიხედვით). ამ პირთა შრომის ანაზღაურების წესი დგინდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს მთავრობასთან შეთანხემბით, შესაბამისი საჯარო დაწესებულების ზემდგომი უწყების (ასეთის არსებობსი შემთხვევაში) ან თავად საჯარო დაწესებულების (ზემდგომი უწყების არ არსებობის შემთხვევაში) წარდგინებით.

8. ამ კანონით განსაზღვრული რეგულაციები არ ვრცელდება საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ იმ პირებზე, რომელთა შრომის ანაზღაურების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფოს მიერ მიღებული გრანტის ან/და საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების ფარგლებში.

9. ამ კანონით განსაზღვრული რეგულაციები არ ვრცელდება საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ იმ პირებზე, რომლებიც „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში წარმოადგენენ საქართველოს ადგილსამყოფელ სახლემწიფოში ან/და საერთაშორიო ორგანიზაციაში ან/და მივლინებულნი არიან დიპლომატიური წარმომადენლობაში/საკონსულო დაწესებულებაში.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონში გამოყენებული ტერმინები განიმარტება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ამ კანონის მიზნებისათვის კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საჯარო დაწესებულება - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაცია;

ბ) შრომის ანაზღაურება (ხელფასი) - ამ კანონის მიზნებისათვის საჯარო დაწესებულებაში არსებული თანამდებობებისათვის/პოზიციებისათვის განსაზღვრული თანამდებობრივი სარგო, აგრეთვე ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისი სახელფასო დანამატი, საკლასო დანამატი და ფულადი ჯილდო;

გ) თანამდებობრივი სარგო - საჯარო დაწესებულებაში არსებული თანამდებობებისათვის/პოზიციებისათვის განსაზღვრული ყოველთვიური ანაზღაურება, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი საშტატო ნუსხით ან განსაზღვრულია შესაბამისი ხელშეკრულებით;

დ) სახელფასო დანამატი - საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და მძიმე სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის განსაზღვრული თანხა;

ე) საკლასო დანამატი - მოხელისათვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოხელის კლასის შესაბამისი დანამატი;

ვ) ფულადი ჯილდო - მოხელისათვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, შეფასების შედეგების შესაბამისად გათვალისწინებული წახალისების საშუალება, ასევე საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის (გარდა მოხელისა) მიერ მის მიმართ დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის გათვალისწინებული წახალისების საშუალება;

ზ) საბაზო თანამდებობრივი სარგო - სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წლიური კანონით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს საბაზო ოდენობა, რომლის ნამრავლით ამ კანონის შესაბამისი დანართით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე მიიღება კონკრეტული თანამდებობის/პოზიციის თანამდებორივი სარგო.

თ) თანამდებობის ფუნქციური დატვირთვა - თითოეული თანამდებობისათვის/პოზიციისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული

ფუნქციათა ერთობლიობის შეფასების შედეგი, რომელიც ეფუძნება ამ თანამდებობისათვის/პოზიციისათვის გათვალისწინებული ფუნქციის შესასრულებლად აუცილებელ პასუხისმგებლობის ხარისხს, მოვალეობათა შესრულების სირთულეს, შესაბამის კომპეტენციებს, კვალიფიკაციასა და სამუშაო გამოცდილებას.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურების გაცემის ძირითადი პრინციპი

შრომის ანაზღაურების სისტემა ემყარება თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, რაც გულისხმობს ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით თანაბარი სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარი ანაზღაურების წინასწარ დადგენილი წესების დაცვით მიღებას.

მუხლი 4. შრომის ანაზღაურების ზოგადი წესი

1. საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების ფონდის ფორმირების წყაროა შესაბამისი ბიუჯეტი. საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება არ შეიძლება იყოს თანამდებობრივი სარგოს შემცირების საფუძველი.

2. შრომის ანაზრაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

მუხლი 5. შრომის ანაზღაურების განსაზღვრის სამართლებრივი საფუძვლები და პრინციპები

1. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირს უფლება აქვს სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათავისუფლების დღემდე მიიღოს შრომის ანაზღაურება ამ კანონით დადგენილი წესით.

2. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოები (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა) აისახება საშტატო ნუსხაში.

3. თანამდებობრივი სარგოს დადგენის მიზნით უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ, ხორციელდება კოეფიციენტის შერჩევა საჯარო დაწესებულებაში არსებული თითოეული თანამდებობის/პოზიციის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, ამ კანონის შესაბამისი დანართების მიხედვით.

4. საჯარო დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით ამ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

5. ამ კანონით გათვალისწინებული სახელფასო დანამატი, გაიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს შესაბამისი სახელფასო დანამატის გაცემის საფუძველსა და ოდენობას.

6. ამ კანონით გათვალისწინებული საკლასო დანამატი გაიცემა მოხელის კლასის მინიჭების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

7. ამ კანონით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო გაიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს ფულადი ჯილდოს გაცემის საფუძველსა და ოდენობას.

მუხლი 6. საჯარო დაწესებულების სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება

1. საჯარო დაწესებულების სტრუქტურა და საშტატო ნუსხა მტკიცდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.. საქართველოს მინისტრებმა და სახელმწიფო მინისტრებმა მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების სტრუქტურებისა და საშტატო ნუსხების დამტკიცება უნდა უზრუნველყონ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით „საქართველოს მინისტრებისა და სახელმწიფო მინისტრების მიერ მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხების, თანამდებობრივი სარგოების და შრომის ანაზღაურების ფონდის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების წესის“ შესაბამისად.

მუხლი 7. საბაზო თანამდებობრივი სარგოს დანიშნულება

ამ კანონით განსაზღვრულ საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების გამოთვლის მიზნებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წლიური კანონით განისაზღვრება საბაზო თანამდებობრივი სარგო ნომინალურ გამოხატულებაში, რომლის ნამრავლით ამ კანონით გათვალისწინებული წესით შესაბამის კოეფიციენტებზე მიიღება თანამდებობის/პოზიციისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგო/თანამდებობრივი სარგოს ზედა ზღვარი კონკრეტული საბიუჯეტო წლისათვის.

თავი II

მოხელის შრომის ანაზღაურება

მუხლი 8. მოხელის თანამდებობრივი სარგო

1. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ან/და ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული/მის მიერ დაფუძნებული საჯარო დაწესებულებებისათვის,

ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ან/და მის მიერ დაფუძნებული/მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულების მოხელეთა თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებული თანამდებობების თანამდებობრივი სარგოები დგინდება თანამდებობის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლით ამ კანონის დანართი N1-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე და აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

2. ავტონომიური რესპუბლიკებისა რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ან/და მათ მიერ დაფუძნებული/მათ კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულებების მოხელეებისათვის თანამდებობრივი სარგოები დგინდება თანამდებობის ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლით ამ კანონის დანართი N2-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე და აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრისას, მუნიციპალიტეტი, რომლის რეგისტრირებული მოსახლეობაც:

ა) აღემატება 100 000 რეგისტრირებულ მოსახლეს უფლებამოსილია მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განსაზღვროს დანართი №2-ით გათვალისწინებული ცხრილის შესაბამისად;

ბ) აღემატება 50 000, მაგრამ არაუმეტს 100 000 რეგისტრირებული მოსახლისა უფლებამოსილია მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განსაზღვროს არაუმეტეს დანართი №2-ით გათვალისწინებული ცხრილის მე-9 კატეგორიისა;

გ) აღემატება 10 000, მაგრამ არაუმეტს 50 000 რეგისტრირებული მოსახლისა უფლებამოსილია მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განსაზღვროს არაუმეტეს დანართი №2-ით გათვალისწინებული ცხრილის მე-8 კატეგორიისა;

დ) არ აღემატება 10 000 მოსახლეს, უფლებამოსილია მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განსაზღვროს არაუმეტეს დანართი №2-ით გათვალისწინებული ცხრილის მე-7 კატეგორიისა.

მუხლი 9. მოხელის სახელფასო დანამატი

1. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ მოხელეს ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის ღამის საათებში, დასვენების/უქმე

დღეს და მძიმე სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის ეძლევა სახელფასო დანამატი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. მოხელეზე სახელფასო დანამატის გაცემა ხორციელდება საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი გადაწყვეტილებით, ზემდგომი თანამდებობის პირის წარდგინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

მუხლი 10. საკლასო დანამატი და მისი ოდენობა

საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ მოხელეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოხელის კლასის დანამატი მიეცემა თანამდებობრივი სარგოს პროცენტული ოდენობით შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

კლასი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
საკლასო დანამატის განაკვეთი	1%	2%	3%	4%	5%	6%	7%	8%	9%	10%	12%	15%

მუხლი 11. ფულადი ჯილდო

საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ მოხელეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო მიეცემა საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი გადაწყვეტილებით, მოხელის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ამ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

თავი III

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურება

მუხლი 12. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ზღვრული ოდენობა

1. საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, საქართველოს სამინისტროებში და საქართველოს სახელმწიფო მინისტრების აპარატებში „საჯარო სამსახურის შესახებ“

საქართველოს კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგო აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში და იგი არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონის დანართი N1-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის დადგენილი მე-10 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად გამოანგარიშებულ თანამდებობრივ სარგოს.

2. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგო აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში და იგი არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონის დანართი N2-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის დადგენილი მე-10 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად გამოანგარიშებულ თანამდებობრივ სარგოს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს გამოანგარიშებისაგან განსხვავებული საგამონაკლისო წესი შესაძლებელია დადგინდეს საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირის დასაბუთებული შუამდგომლობით, საქრათველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს გამოანგარიშებისაგან განსხვავებული საგამონაკლისო წესი შესაძლებელია დადგინდეს საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირის დასაბუთებული შუამდგომლობით, შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით.

მუხლი 13. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურის სახელფასო დანამატი

1. საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეს ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და მძიმე სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის შეიძლება მიეცეს სახელფასო დანამატი.

2. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეზე სახელფასო დანამატის გაცემა ხორციელდება ზემდგომი თანამდებობის პირის წარდგინებით, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი გადაწყვეტილებით, ამ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და შესაბამისი საჯარო დაწესებულების ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

მუხლი 14. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურის ფულადი ჯილდო

საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეს მის მიმართ დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მიეცეს ფულადი ჯილდო ამ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

თავი IV

საჯარო დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება

მუხლი 15. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს ზღვრული ოდენობა

1. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ან/და ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებულ/მის მიერ დაფუძნებულ საჯარო დაწესებულებაში, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ან/და მის მიერ დაფუძნებული/მის კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონის დანართი N1-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის დადგენილი მე-10 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად გამოანგარიშებულ თანამდებობრივ სარგოს.

2. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფ ან მათ მიერ დაფუძნებულ/მათ კონტროლს დაქვემდეარებულ საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონის დანართი N2-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის დადგენილი მე-10 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად გამოანგარიშებულ თანამდებობრივ სარგოს.

3. მუნიციპალიტეტში, რომლის რეგისტრირებული მოსახლეობაც:

ა) აღემატება რეგისტრირებულ 100 000 მოსახლეს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონის დანართი N2-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის დადგენილი მე-10 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად გამოანგარიშებულ თანამდებობრივ სარგოს.

ბ) აღემატება 50 000 მოსახლეს, მაგრამ არაუმეტს 100 000 რეგისტრირებული მოსახლისა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონის დანართი N2-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის დადგენილი მე-9 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად გამოანგარიშებულ თანამდებობრივ სარგოს.

გ) აღემატება 10 000 მოსახლეს, მაგრამ არაუმეტს 50 000 რეგისტრირებული მოსახლისა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონის დანართი N2-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის დადგენილი მე-8 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად გამოანგარიშებულ თანამდებობრივ სარგოს.

დ) არ აღემატება 10 000 მოსახლეს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონის დანართი N2-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის დადგენილი მე-7 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად გამოანგარიშებულ თანამდებობრივ სარგოს.

4. ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს გამოანგარიშებისაგან განსხვავებული საგამონაკლისო წესი შესაძლებელია დადგინდეს საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირის დასაბუთებული შუამდგომლობით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს გამოანგარიშებისაგან განსხვავებული საგამონაკლისო წესი შესაძლებელია დადგინდეს საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირის დასაბუთებული შუამდგომლობით, შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით.

მუხლი 16. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურის სახელფასო დანამატი

1. საჯარო დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეს ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და მძიმე სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის შეიძლება მიეცეს სახელფასო დანამატი.

2. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეზე, სახელფასო დანამატის გაცემა ხორციელდება საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი გადაწყვეტილებით, ზემდგომი თანამდებობის პირის წარდგინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ამ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

მუხლი 17. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურის ფულადი ჯილდო

საჯარო დაწესებულებაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეს მის მიმართ დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის, ზემდგომი თანამდებობის პირის წარდგინებით, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მიეცეს ფულადი ჯილდო ამ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

თავი V

სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურება

მუხლი 18. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგო

სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგო დგინდება საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლით ამ კანონის დანართი №3-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე და აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

მუხლი 19. პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგო

პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგო დგინდება საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლით ამ კანონის დანართი №4-ით გათვალისწინებული შესაბამისი ცხრილების მიხედვით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე და აისახება საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

მუხლი 20. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის და პოლიტიკური თანამდებობის პირის სახელფასო დანამატი

1. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების და პოლიტიკური თანამდებობის პირების სახელფასო დანამატს, ამ კანონით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის ფარგლებში განსაზღვრავს ზემდგომი სახელმწიფო პოლიტიკური/პოლიტიკური თანამდებობის პირი/ორგანო ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. იმ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების და პოლიტიკური თანამდებობის პირების სახელფასო დანამატის განსაზღვრის უფლებამოსილება, რომელსაც არ ყავს ზემდგომი თანამდებობის პირი/ორგანო აქვს თავად სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირს/პოლიტიკურ თანამდებობის პირს, რომელიც ხელმძღვანელობს შესაბამის საჯარო დაწესებულებას.

მუხლი 21. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის და პოლიტიკური თანამდებობის პირის ფულადი ჯილდო

1. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების და პოლიტიკური თანამდებობის პირების ფულად ჯილდოს, ამ კანონით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის ფარგლებში განსაზღვრავს ზემდგომი სახელმწიფო პოლიტიკური/პოლიტიკური თანამდებობის პირი/ორგანო ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. იმ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების და პოლიტიკური თანამდებობის პირების ფულადი ჯილდოს განსაზღვრის უფლებამოსილება, რომელსაც არ ყავს ზემდგომი თანამდებობის პირი/ორგანო აქვს თავად სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირს/პოლიტიკურ თანამდებობის პირს, რომელიც ხელმძღვანელობს შესაბამის საჯარო დაწესებულებას.

თავი VI

სახელმწიფო მოსამსახურის შრომის ანაზღაურება

მუხლი 22. სახელმწიფო მოსამსახურის თანამდებობრივი სარგო

1. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ან/და ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებულ/მის მიერ დაფუძნებულ საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული სახელმწიფო მოსამსახურეების, (გარდა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირისა და მოხელისა) თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს

საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლს ამ კანონის დანართი N3-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით საქართველოს მინისტრის თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტზე და უნდა აისახოს საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

2. ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში დასაქმებული სახელმწიფო მოსამსახურეების, (გარდა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირისა და მოხელისა) თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს საბაზო თანამდებობრივი სარგოს ნამრავლს ამ კანონის დანართი N3-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტზე და უნდა აისახოს საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

მუხლი 23. სახელმწიფო მოსამსახურეების სახელფასო დანამატი

1. სახელმწიფო მოსამსახურეს ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და მძიმე სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის შეიძლება მიეცეს სახელფასო დანამატი.

2. სახელმწიფო მოსამსახურეზე სახელფასო დანამატის გაცემა ხორციელდება ზემდგომი თანამდებობის პირის წარდგინებით, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი გადაწყვეტილებით, ამ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

3. იმ სახელმწიფო მოსამსახურის სახელფასო დანამატის განსაზღვრის უფლებამოსილება, რომელსაც არ ყავს ზემდგომი თანამდებობის პირი/ორგანო აქვს თავად სახელმწიფო მოსამსახურეს, რომელიც ხელმძღვანელობს შესაბამის საჯარო დაწესებულებას.

მუხლი 24. სახელმწიფო მოსამსახურეების ფულადი ჯილდო

1. სახელმწიფო მოსამსახურეს მის მიმართ დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის, ზემდგომი თანამდებობის პირის წარდგინებით, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის შესაბამისი გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მიეცეს ფულადი ჯილდო ამ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

2. იმ სახელმწიფო მოსამსახურის ფულადი ჯილდოს განსაზღვრის უფლებამოსილება, რომელსაც არ ყავს ზემდგომი თანამდებობის პირი/ორგანო აქვს თავად სახელმწიფო მოსამსახურეს, რომელიც ხელმძღვანელობს შესაბამის საჯარო დაწესებულებას.

თავი VII

საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული სხვა პირების შრომის ანაზღაურება

მუხლი 25. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული სხვა პირების შრომის ანაზღაურება

1. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ან/და ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული/მის მიერ დაფუძნებულ, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ან/და მის მიერ დაფუძნებულ/მის კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული იმ პირების თანამდებობრივი სარგოები, რომლებიც არ რეგულირდება ამ კანონის სხვა მუხლებით და არ წარმოადგენენ ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-4-მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ პირებს, დგინდება საჯარო დაწესებულების მოხელეთა თანამდებობების თითეული იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებული თანამდებობების ეკვივალენტური ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, საბაზო თანმდებობრივი სარგოს ნამრავლით ამ კანონის დანართი N1-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე და აისახება შესაბამისი საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

2. ავტონომიური რესპუბლიკებისა რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ან/და მათ მიერ დაფუძნებული/მათ კონტროლს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში დასაქმებული იმ პირების თანამდებობრივი სარგოები, რომლებიც არ რეგულირდება ამ კანონის სხვა მუხლებით და არ წარმოადგენენ ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს, დგინდება საჯარო დაწესებულების მოხელეთა თანამდებობების თითეული იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებული თანამდებობების ეკვივალენტური ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, საბაზო თანმდებობრივი სარგოს ნამრავლით ამ კანონის დანართი N2-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით განსაზღვრულ შესაბამის კოეფიციენტზე და აისახება შესაბამისი საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

3. იმ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო, რომელიც არ დგინდება ამ კანონის შესაბამისი მუხლებით და არც სპეციალური კანონმდებლობით, განისაზღვრება შემდეგი წესით:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ან/და ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაფუძნებული/მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს საბაზო თანამდებობრივი სარგოს ამ კანონის დანართი N3-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტზე ნამრავლს და უნდა აისახოს საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის დაფინანსებაზე მყოფი ან/და ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დაფუძნებული/მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს საბაზო თანამდებობრივი სარგოს ამ კანონის დანართი N3-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტზე ნამრავლს და უნდა აისახოს საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

გ) მუნიციპალიტეტის (გარდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა) დაფინანსებაზე მყოფი ან/და მუნიციპალიტეტის (გარდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა) მიერ დაფუძნებული/კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონის დანართი N2-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით, შესაბამისი მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის დადგენილი შესაბამისი უმაღლესი სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად გამოანგარიშებულ თანამდებობრივ სარგოს და უნდა აისახოს საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

დ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი ან/და მის მიერ დაფუძნებული/მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონის დანართი N1-ით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით, განსაზღვრული საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობისთვის დადგენილი მე-10 სახელფასო კატეგორიის კოეფიციენტის შესაბამისად გამოანგარიშებულ თანამდებობრივ სარგოს და უნდა აისახოს საჯარო დაწესებულების საშტატო ნუსხაში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობრივი სარგო არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგოს 80%-ს.

5. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ პირებს სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო ეძლევათ შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლებითა და ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო ეძლევა ზემდგომი თანამდებობის პირის/ორგანოს გადაწყვეტილებით ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლებითა და ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული იმ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელს რომელსაც არ ყავს ზემდგომი თანამდებობის პირი/ორგანო, სახელფასო დანამატი და

ფულადი ჯილდო ეძლევა ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლებითა და ზღვრული ოდენობის ფარგლებში თავად ამ საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

თავი VIII

შრომის ანაზღაურებასთან და დასაქმებულთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული ზოგიერთი შეზღუდვა

მუხლი 26. სახელფასო დანამატის საერთო ოდენობა

ამ კანონით განსაზღვრული სახელფასო დანამატის ერთდროული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ თანამდებობისათვის/პოზიციისთვის გათვალისწინებული ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს, ხოლო წლის მანძილზე მიღებული მთლიანი სახელფასო დანამატი, თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის - 20%-ს.

მუხლი 27. ზეგანაკვეთური სამუშაოს, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეებში შესრულებული სამუშაოსათვის ან მძიმე სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის ანაზღაურება

საჯარო დაწესებულებაში ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეებში შესრულებული სამუშაო ან მძიმე სამუშაო პირობებში საქმიანობა და შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ნამუშევარი საათების და თანამდებობრივი სარგოს მიხედვით, საჯარო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, ამ კანონით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

მუხლი 28. ფულადი ჯილდოს საერთო ოდენობა

1. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირისთვის წლის განმავლობაში მიღებული ფულადი ჯილდოს საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ დაკავებული თანამდებობისათვის/პოზიციისათვის განკუთვნილი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 10%-ს.

2. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შესაძლებელია საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირს მიეცეს ფულადი ჯილდო ამ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის გათვალისწინების გარეშე.

მუხლი 29. ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობის შეზღუდვა

1. საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობა არ შეიძლება აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 10%, ხოლო გამონაკლისი დაიშვება საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილებით სსიპ-საჯარო სამსახურის ბიუროსთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება წარმომადგენლობით ხელისუფლების ორგანოებში, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებზე.

3. საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, დამხმარე ფუნქციების შესრულების მიზნით მიღებული შრომით ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურეების რიცხოვნობა არ შეიძლება აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, ასევე არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების ზღვრული ოდენობა განისაზღვრება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წლიური კანონით და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 30. დროებითი ფუნქციების შესრულებისათვის ანაზღაურების წესი და პირობები და ნახევარ განაკვეთზე მუშაობის ანაზღაურება

1. პირს, რომელიც ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის ფუნქციებს და თავისუფლდება თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან, (სხვა ფუნქციების შესრულება) ეძლევა არმყოფი პირის თანამდებობრივი სარგო, თუ იგი აღემატება მის თანამდებობრივ სარგოს. თუ თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის თანამდებობრივი სარგო ნაკლებია შემცვლელის თანამდებობრივ სარგოზე, შემცვლელ პირს უნარჩუნდება თავისი თანამდებობრივი სარგო. პირს, რომელიც ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის ფუნქციებს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან განთავისუფლების გარეშე,(დამატებითი ფუნქციების შესრულება) თავისი თანამდებობრივი სარგოს გარდა, ეძლევა დანამატი ამ კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

2. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულების ინტერესებიდან გამომდინარე, მოხელის მიერ სხვა ფუნქციების შესრულება საჯარო სამსახურის სისტემაში ანაზღაურდება ამ კანონით დადგენილი წესით მიმღების საჯარო დაწესებულების მიერ, ხოლო საჯარო დაწესებულების ინტერესებიდან გამომდინარე, მოხელის მიერ სხვა ფუნქციების შესრულება საზღვარგარეთ ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ასევე, მოხელეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისიწნებით, ერთ წლამდე ასაკის ბავშვის აღზრდისათვის, აგრეთვე ორსულობის პერიოდში ნახევარ განაკვრთზე მუშაობის უფლების მინიჭების შემთხვევაში, ეძლევა შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი თანამდებობრივი სარგო, ნამუშავარი საათების პროპორციულად.

მუხლი 31. თანამდებობრივი სარგოს დაკავება

თანამდებობრივი სარგოს დაკავების საფუძველი შეიძლება გახდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება.

მუხლი 32. მიღებული სარგებლის უკან მოთხოვნის უფლება

შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე მიღებული შრომის ანაზღაურება ექვემდებარება უკან დაბრუნებას საქართველოს სამოქალაქო კანონდებლობით გათვალისიწინებული შესაბამისი ნორმების საფუძველზე.

მუხლი 33. კერძო სექტორთან კონკურენციის დაძლევის შესაძლებლობა

1. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია განსაზღვროს იმ პროფესიათა/ფუნქციათა ერთობლიობის ნუსხა და ანაზღაურების წესი, რომელთაც მოეთხოვებათ ისეთი პროფესიული უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია, რომელიც შრომის ბაზარზე იშვიათი და დეფიციტურია ან/და რომელთა შრომის ანაზღაურებაც კერძო სექტორში მნიშვნელოვნად აღემატება საჯარო სამსახურში არსებულ შრომის ანაზღაურებას.

2. საჯარო დაწესებულების მიმართვის საფუძველზე ბიურო ადგენს შესაბამისი თანამდებობის/პოზიციისათვის გათვალისწინებული ფუნქციათა ერთობლიობის შინაარსის შესაბამისობას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ნუსხასთან.

თავი IX

გარდამავალი დებულებები

მუხლი 34. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ვალდებულებები

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულებებმა უზრუნველყონ არაუგვიანეს 2017 წლის 15 ნოემბრისა საშტატო ნუსხებისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცება სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წლიური კანონის პროექტით გათვალისწინებული საბაზო თანამდებობრივი სარგოს მიხედვით, ამ კანონიდან გამომდინარე საჭირო სხვა ღონისძიებების გატარება და მათი ამოქმედება 2018 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის ამოქმედებიდან გამომდინარე დაუშვებელია 2018-2020 საბიუჯეტო წლებში საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების ფონდის ზრდა 2017 წლის საკასო ხარჯის ჯამურ მაჩვენებელთან მიმართებაში, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

3. 2018-2020 წლებში ამ კანონით დადგენილი წესით, საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ფონდის გაზრდა 2017 წელთან შედარებით შესაძლებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, მხოლოდ შესაბამისი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში.

4. დაევალოს სსიპ „საჯარო სამსახურის ბიუროს“ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 125-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად, საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირების გარდაქმნის შესახებ განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგი და საჯარო სამსახურში ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; საჯარო დაწესებულება ვალდებულია, საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126[1]-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე მოახდინოს საშტატო ნუსხების კორექტირება.

5. დაევალოს საქართველოს მთავრობას „საქართველოს მინისტრებისა და სახელმწიფო მინისტრების მიერ მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხების, თანამდებობრივი სარგოების და შრომის ანაზღაურების ფონდის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღება.

6. 2018-2020 წლებში სახელმწიფო პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები განისაზღვროს ამ კანონის ამოქმედების დროისათვის ამ თანამდებობის პირებისათვის დადგენილი შრომის ანაზღაურების მიხედვით და აისახოს შესაბამის საშტატო ნუსხაში.

7. იმ მოხელეთა საკლასო დანამატის პროცენტული ოდენობა, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე იღებდნენ საკლასო ჩინის დანამატს 1997 წლის 31 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული საჯარო მოხელის საკლასო ჩინების საფუძველზე და 2015 წლის 27 ოქტომბრის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მიენიჭათ პროფესიული საჯარო მოხელის შესაბამისი კლასი, განისაზღროს ამ კანონის მე-10 მუხლით დადგენილი ცხრილის შესაბამისად.

თავი X

დასკვნითი დებულებები

მუხლი 35. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული სამართლებრივი აქტები

1. ამ კანონის ამოქმედებისათანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს კანონი „საქართველოს პრეზიდენტის შრომის ანაზღაურების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ს.კ 270.090.000.05.001.001.763)

2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს კანონი „საქართველოს პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ს.კ 270.090.000.05.001.001.769)

მუხლი 36. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი - 33-ე მუხლებისა და 35 მუხლისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი-17-ე, 20-ე -33-ე მუხლები და 35-ე მუხლი ამოქმედდეს 2018 წლის პირველი იანვრიდან.

3. ამ კანონის მე-18 და მე-19 მუხლები ამოქმედდეს 2021 წლის პირველი იანვრიდან.